2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

ანგარიში ეფუძნება ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმას (2023-2030), რომლის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სკოლის კულტურის გაძლიერება. წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს.

1. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა

- ედუპეიჯის გამოყენების ტრენინგი მასწავლებლებისთვის - ჩატარდა, რის შედეგადაც ედუპეიჯის მეტი ფუნქციის ჩართვა მოხერხდა სასწავლო პროცესის წარმართვაში.
- წარმატებით ინტეგრირდა ციფრული და საინფორმაციო ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში.
- მშობლები აქტიურად ჩაერთვნენ სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებში.
- სკოლის შინაგანაწესის გადახედვა გადაიდო 2025-26 სასწ. წლის ოქტოემბერ-ნოემბრისთვის.

2. მატერიალური ბაზის გაუმჯობესება

- სკოლის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად განახლდა.
- შეძენილ იქნა ახალი კომპიუტერული ტექნიკა და პროექტორი.
- განახლდა ბიბლიოთეკის რესურსები.
- შეძენილ იქნა სასწავლო მასასა და ინვენტარი.
- ჩატარდა საზაფხულო სარემონტო სამუშაოები;.

3. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება და მოსწავლეთა ხელშეწყობა

მასწავლებლებისთვის ჩატარდა სემინარები:

- სამდღიანი სემინარი „თანამედროვე გამოწვევები და პედაგოგიკა“ მომხსენებელი კრისტოფ იოჰანსენი;
- სემინარი თემაზე „ჯანსაღი ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის“ - გეოგრაფიის გაკვეთილის ეგზემპლარული განხილვა; რა უნარჩვევებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი ჩვენი კურსდამთავრებულები; შეფასებები, ნიშნები; მომხსენებელი კრ. იოჰანსენი;
- 8-12 აპრილს კონფერენცია ამიერკავკასიის ვალდორფის სკოლების პედაგოგებისთვის; მომხსენებლები ალანუსის უნივერსიტეტის პროფესორი კრისტოფ ვიხერტი და ნანა გიობელი („აღზრდის ხელოვნების მეგობრები“);
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით მოხდა მათი დაფინანსება და ისინი დაესწრნენ პედაგოგიურ კონფერენციას კოშიცაში (სლოვაკეთი).
- მასწავლებელთა კორპუსი შეივსო ახალი მასწავლებლებით.
- განხორციელდა მულტიკულტურული გაცვლითი პროექტი ბერლინის ვალდორფის სკოლის მოსწავლეებთან ერთად, რომელიც შემდეგ სასწავლო წელსაც გრძელდება.
- განხორციელდა საშუალო საფეხურის მოსწავლეების სასოფლო-სამეურნეო, ეკოლოგიური და სოციალური პრაქტიკები;
- განხორციელდა მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის მოძიება -შეძენა და მათი თარგმანები;

4. უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა

• გაფორმდა ხელშეკრულება უსაფრთხოების მენეჯერთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან

• ჩატარდა თანამშრომელთა ტრენინგები შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

• მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის განმეორებით გაიმართა შეხვედრები უსაფრთხოების წესების გაცნობის მიზნით.

. განხორციელდა თანამშრომლებთან და მშობლებთან დასადები ხელშეკრულებების ფორმების გადახედვა.

დასკვნა და რეკომენდაციები

2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმატებით შესრულდა. გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და მასწავლებელთა პროფესიული უნარები, გაუმჯობესდა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი. მომდევნო წელს მიზანშეწონილია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლის საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავებას, მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და მოსწავლეთა მოტივაციის კიდევ უფრო გაზრდას.